ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი
სამაგისტრო პროგრამა: ფსიქიკური ჯანმრთელობა

კურიკულუმი

ფაკულტეტის დასახელება	მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი
პროგრამის დასახელება	ფსიქიკური ჯანმრთელობა
მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია	სოციალური ფსიქიატრიის მაგისტრი (Master of Social Psychiatry) ფსიქოტრავმატოლოგიის მაგისტრი (Master of Psychotraumatology)
პროგრამის ხანგრძლივობა /მოცულობა (სემესტრი, კრედიტების რაოდენობა)	4 სემესტრი/120 კრედიტი
სწავლების ენა	ქართული
პროგრამის ხელმძღვანელი	პროფესორი ნინო მახაშვილი
პროგრამის შემუშავების თარიღი და განახლების საკითხი	პროგრამა შემუშავებულია 2012 წელს და განახლებული პროგრამა დამტკიცებულია აკადემიურ საბჭოზე ოქმი N1, 22/01/2020 გადაწყვეტილებით (გაუჯობესებების მიზნით, ყოველი სასწავლო წლის დასაწყისისთვის შესაძლებელია პროგრამის განახლება).

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები (მოთხოვნები)

კონკურსანტს უნდა ჰქონდეს ფსიქიატრის სპეციალობა ან ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი მედიცინის, ფსიქოლოგიის, საექთნო ან სოციალური სამუშაოს დისციპლინებში და მინიმუმ 2 წელი პრაქტიკა ფსიქიკური ჯანმრთელობის (ფჯ) ან მომიჯნავე სფეროში; ასევე კონკურსანტმა უნდა ჩააბაროს საერთო სამაგისტრო გამოცდები (შესაბამისი ტიპი) და შიდასაუნივერსიტეტო გამოცდა (ზეპირი გამოცდა) სპეციალობაში.

კონკურსანტი უნდა ფლობდეს ინგლისურ ენას მინიმუმ B2 დონეზე. ზეპირი გამოცდის დროს ინგლისური ენის ცოდნა შემოწმდება შესაბამისი სირთულის დარგობრივი ტექსტის (დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკატორის DSM 5-ის ე.წ. "შემთხვევათა წიგნიდან') მცირე ზომის მონაკვეთის წაკითხვისა და გადმოცემის (ქართულად) შედეგად.

შეფასების კრიტერიუმები და სხვა დამატებითი ინფორმაცია თავსდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, რუბრიკაში ,,მიღება".

პროგრამის მიზნები

ფსიქიკური ჯანმრთელობის (ფჯ) სამაგისტრო პროგრამის მისიას წარმოადგენს ქვეყნის შესაძლებლობების ზრდა მოსახლეობის ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის გაუმჯობესების კუთხით, ფსიქიკური ჯანდაცვის სპეციალისტთა და მკვლევართა ახალი თაობის მომზადების გზით.

პროგრამა აერთიანებს სამედიცინო, ფსიქოლოგიურ და სოციალურ ელემენტებს, ეფუძნება რა ბიო-ფსიქო-სოციალურ მიდგომას. ის აძლევს მაგისტრანტებს როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ-კლინიკურ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს თანამედროვე ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის სფეროში; ხელს უწყობს მაგისტრანტს, ჩაწვდეს აკადემიურ კონცეფციებს სოციალურ და სათემო ფსიქიატრიასა და ფსიქიკურ ჯანმრთელობაში და შეისწავლოს და გააცნობიეროს მათი მიმართებები პრაქტიკასთან. სწავლებისას აქცენტირებულია თანამედროვე, მტკიცებულებებზე-დაფუძნებული მიდგომები და ინტერვენციები, რაც განსაკუთრებით აქტუალურია ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროს

რეფორმირების საქართველოში მიმდინარე პროცესში (ფჯ სამსახურების დეინსტიტუციონალიზაცია, ინტეგრირება ზოგადი ჯანდაცვის მოწყობაში, ბალანსირებული ზრუნვის მოდელის დანერგვა და ახალი, თანამედროვე ტიპის სათემო ფსიქიკური ჯანმრთელობის სამსახურების განვითარება).

პროგრამის მიზანია მოამზადოს ფჯ სფეროს პროფესიონალები რომლებსაც შეუძლიათ კვლევაზე დაფუძნებული ფჯ პროგრამების და სერვისების შემუშავება და განხორციელება, ფჯ პოლიტიკისა და სტრატეგიის კონტექსტის გათვალისწინებით, რაც ხელს უწყობს მტკიცებულებაზე-დაფუძნებული და ეფექტური ფჯ დაცვის სისტემის განვითარებას.

პროგრამას აქვს ორი მიმართულება: სოციალური ფსიქიატრია და ფსიქოტრავმატოლოგია.
სოციალური ფსიქიატრია სწავლობს კავშირს სოციალურ ფაქტორებსა და ფსიქიკურ აშლილობათა განვითარებას, მიმდინარეობასა და მკურნალობას შორის. სოციალური ფსიქიატრიის მიმართულების მიზანია სოციალური ფსიქიატრიის თეორიული, კონცეპტუალური, მეთოდოლოგიური და გამოყენებითი ასპექტების სწავლება, რაც უზრუნველყოფს ფსიქიკური აშლილობების საკვანძო სოციალური საკითხების სიღრმისეულ შესწავლის და თანამედროვე მოთხოვნების შესაბამის სათემო ფსიქიატრიულ სერვისებში მუშაობის და ფსიქიკური აშლილობების მულტიდისციპლინური მართვის უნარ-ჩვევების შეძენას.

ფსიქოტრავმატოლოგია სწავლობს სხვადასხვა ფსიქოტრავმული მოვლენის - ეთნოკონფლიქტების და ომების, ბუნებრივი კატასტროფების, მძიმე დანაკარგის, ძალადობის და სხვა მატრავმირებელი გამოცდილების – შედეგებს და ზემოქმედებას ადამიანის და ადამიანთან ჯგუფების ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე, ფსიქოსოციალურ ფუნქციონირებაზე. ფსიქოტრავმატოლოგიის მიმართულების მიზანია განავითაროს მაგისტრანტის უნარ-ჩვევები და ცოდნა ტრავმის გამოვლინებების იდენტიფიკაციის და მულტიდისციპლინური მართვის სფეროში; მწვავე კრიზისის და კატასტროფების დროს ადრეული ჩარევების ორგანიზებისა და პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვის და განხორციელების შესახებ. გარდა ამისა, მოამზადოს მაგისტრანტი ფსიქოტრავმატოლოგიის დარგში არსებული აქტუალური გამოწვევების და პრობლემების გადასაჭრელად;

ილიაუნის ფჯ რესურს ცენტრის, საქართველოს ფსიქიატრთა საზოგადოების (რომელიც არის მსოფლიო ფსიქიატრთა ასოციაციის -WPA - წევრი) და საქართველოს ფსიქოტრავმის საზოგადოების (რომელიც არის აფილირებული ევროპის ტრავმის საზოგადოებასთან - ESTSS) მხარდაჭერით სტუდენტებს ეძლევათ შესაძლებლობა წარადგინონ სამაგისტრო ნაშრომები დარგის სპეციალისტების, სერვისების მიმწოდებლების და სტეიკჰოლდერების წინაშე, როგორც ადგილობრივ ასევე საერთაშორისო დონეზე. ილიაუნის ფჯ ცენტრი ყოველწლიურად ატარებს საერთაშორისო კონფერენციას, სადაც სტუდენტთა მონაწილეობა ხელშეწყობილია; ასევე, სტუდენტები ჩართულნი არიან მნიშვნელოვან პოლიტიკის ვორქშოფებსა და შეხვედრებში, სადაც ისინი მონაწილენი ხდებიან ქვეყანაში და რეგიონში მიმდინარე რეფორმატორული პროცესებისა და შეუძლიათ გამოიყენონ ეს შესაძლებლობები, როგორც პლატფორმა, მტკიცებულებებზე დაფუძნებული ცვლილებების ადვოკატირების მიზნით ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროში.

სწავლის შედეგები

პროგრამის კურსდამთავრებულს

აქვს:

- სისტემური ცოდნა ფსიქიკური ჯანმრთელობის ბიო-ფსიქო-სოციალური მიდგომების თეორიული პრინციპების, კონცეფციებისა და სოციალურ ფსიქიატრიაში ან ფსიქოტრავმატოლოგიაში მათი პრაქტიკასთან მიმართების შესახებ;
- შეუძლია:
- ფსიქიკური ჯანმრთელობის მძიმე პრობლემების და აშლილობების ან სხვადასხვა ფსიქოტრავმული მოვლენების შედეგად გამოწვეული მდგომარეობების იდენტიფიკაცია (შეფასება და დიაგნოსტირება) და მათი მართვა (პრევენცია ან/და მკურნალობა) თანამედროვე მულტიდისციპლინური მეთოდების გამოყენებით;
- თანამედროვე მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით დამოუკიდებლად განხორციელებული კვლევის

საფუძველზე ფჯ საჭიროებების იდენტიფიცირება, სერვისების დაგეგმვა, განხორციელება და შეფასება;

- ფჯ სფეროში პოლიტიკის, სტრატეგიის და /ან პრაქტიკის ანალიზი და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება ფჯ დაცვის სისტემის განვითარებისთვის;
- კლიენტთან და მოსარგებლეთა ჯგუფთან კომუნიკაცია და თერაპიული რაპორტის დამყარება;
- ფჯ სფეროში აკადემიური თუ პრაქტიკული საქმიანობისას აკადემიური კეთილსინდისიერებისა და პროფესიული ეთიკის, მათ შორის კვლევის ბიოეთიკის დაცვა, პაციენტთა უფლებების გათვალისწინება;
- ეფექტური მოქმედება როგორც ავტონომიურად, ასევე მულტიდისციპლინურ ჯგუფში;
- პროფესიული განვითარების მიზნით, საკუთარი პროფესიული საქმიანობის შეფასება, სწავლის საჭიროებების განსაზღვრა, და შესაბამისად, სწავლის პროცესის სტრატეგიულად დაგეგმვა და ამ გეგმის განხორციელება.

პროგრამის სტრუქტურა

სამაგისტრო პროგრამის ფსიქიკური ჯანმრთელობა ფარგლებში სტუდენტმა უნდა დააგროვოს 120 კრედიტი.

- საერთო სავალდებულო კურსები ფსიქიკურ ჯანმრთელობაში - 30 კრედიტი, მათ შორის კლინიკური შემთხვევების მართვის პრაქტიკა - 6 კრედიტი;
- **სოციალური ფსიქიატრიის მიმართულება** -54 კრედიტი;
- **ფსიქოტრავმატოლოგიის მიმართულება** - 54 კრედიტი;
- თავისუფალი არჩევითი - 12 კრედიტი;
- სამაგისტრო ნაშრომი - 24 კრედიტი;

მაგისტრანტი სოციალურ ფსიქიატრიაში აგროვებს 30 კრედიტს საერთო სავალდებულო კურსებიდან (მათ შორის კურსი: კლინიკური შემთხვევების მართვის პრაქტიკაში) + 54 კრედიტს სოციალური ფსიქიატრიის მიმართულებიდან (36 კრედიტი სავალდებულო, 18 კრედიტი სავალდებულო-არჩევითი) + 12 კრედიტს თავისუფალი არჩევითი საგნებიდან (შესაძლებელია პროგრამაში შემავალი ნებისმიერი ბლოკის კურსებიდან) + 24 კრედიტს სამაგისტრო ნაშრომით = 120 კრედიტს.

მაგისტრანტი ფსიქოტრავმატოლოგიაში აგროვებს 30 კრედიტს საერთო სავალდებულო კურსებიდან (მათ შორის კურსი: კლინიკური შემთხვევების მართვის პრაქტიკაში) + 54 კრედიტს ფსიქოტრავმატოლოგიის მიმართულებიდან (36 კრედიტი სავალდებულო, 18 კრედიტი სავალდებულო-არჩევითი) +12 კრედიტს თავისუფალი არჩევითი საგნებიდან (შესაძლებელია პროგრამაში შემავალი ნებისმიერი ბლოკის კურსებიდან) + 24 კრედიტს სამაგისტრო ნაშრომით = 120 კრედიტს.

სწავლების მეთოდები

სასწავლო პროგრამაში გამოიყენება სწავლების შემდეგი მეთოდები:

- ლექცია და სემინარი,
- ჯგუფური და ინდივიდუალური მუშაობა,
- პრაქტიკული სამუშაო - მათ შორის სტაჟირება ფსიქიკური ჯანმრთელობის სხვადასხვა სერვისში,
- დაკვირვება,
- თვით-რეფლექსია,
- დემონსტრირების მეთოდი,
- დისკუსია/დებატები,
- ინტერვიზია და სუპერვიზია,
- სიტუაციის მოდელირება და როლური თამაშები,
- სიმულაციური თამაში,
- მინი-კონფერენცია,
- მიკროპროექტები (კონკრეტული იდეის საპროექტო განაცხადის სახით გაფორმება),
- ინტერაქტიული მეთოდიკა და პრაქტიკაზე დაფუძნებული სწავლება;
- შემთხვევის ანალიზი.

შენიშვნა: სასწავლო კურსების სილაბუსებში და კონცეფციებში განსაზღვრულია გამოყენებული სწავლების მეთოდები.
შეფასების წესი
შეფასება **100-ქულიანი სისტემით** მიმდინარეობს. ქულები გადანაწილდება და განისაზღვრება ამგვარად: (A) ფრიადი - 91-100 ქულა; (B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა; (C) კარგი - 71-80 ქულა; (D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა; (E) საკმარისი - 51-60 ქულა; (FX) ვერ ჩააბარა - 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; (F) ჩაიჭრა- 40 ქულა ან ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. *შენიშვნა: ყოველი სასწავლო კურსის სილაბუსში და კონცეფციაში განსაზღვრულია შეფასების შესაბამისი კომპონენტები, მეთოდები და კრიტერიუმები.*
დასაქმების სფეროები
სოციალური ფსიქიატრიის მიმართულებით: • რეფორმირებული ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის - ბავშვთა და მოზარდთა - სამსახურები, როგორიცაა ფსიქიკური ჯანმრთელობის კლინიკები, ამბულატორიული ფჯ სამსახური, თემზე-დაფუძნებული ფჯ სერვისები: კრიზისული ინტერვენციის სამსახურები, მობილური სათემო გუნდები, ფ/ს რეაბილიტაციის ცენტრები, რეზიდენტული სახლები/საცხოვრისები და სხვ. • სოციალური ზრუნვის და დაცვის სამსახურები, როგორც ბავშვთა, ასევე მოზრდილთა და ხანდაზმულთა. • სახელმწიფო და არასამთავრობო სექტორი ფჯ პოლიტიკის/სტრატეგიის დარგში. • შესაბამისი პროფილის კვლევითი ორგანიზაციები და აკადემიური სექტორი. ფსიქოტრავმატოლოგიის მიმართულებით: • სხვადასხვა ტიპის ფსიქოტრავმის ცენტრები - ბავშვთა და მოზარდთა ფჯ სამსახურები; • წამების მსხვერპლთა რეაბილიტაციის სამსახური, ომის და კატასტროფების შედეგად დაზარალებულთა, ლტოლვილთა და დევნილთა ფსიქიკური ჯანდაცვის ცენტრები, ძალადობის მსხვერპლი ქალების, ბავშვების დახმარების სამსახურები და სხვ. • სახელმწიფო და არასამთავრობო სექტორი ფჯ პოლიტიკის/სტრატეგიის დარგში. • შესაბამისი პროფილის კვლევითი ორგანიზაციები და აკადემიური სექტორი.
სწავლისათვის აუცილებელი დამხმარე პირობები/რესურსები
- უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა, საუნივერსიტეტო ფჯ რესურს ცენტრი სპეციალიზებული ბიბლიოთეკით; - კლინიკური პრაქტიკისა და კვლევებისათვის – ფჯ ცენტრები როგორც არასამთავრობო, ასევე სამთავრობო კლინიკები; *სოციალური ფსიქიატრიის მიმართულებით:* ილიაუნის სტუდენტთა ფსიქოლოგიური კონსულტირების ცენტრი; ქ. თბილისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი; რუსთავის ფჯ ცენტრი; თელავის ფჯ ამბულატორია; *ფსიქოტრავმატოლოგიის მიმართულებით:* კავშირი ,,წამების მსხვერპლთა ფსიქო-სოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის საქართველოს ცენტრი"- GCRT-თბილისი, GCRT-ქუთაისი, GCRT-ბათუმი, GCRT-გორი; სტრესის მართვის და მენტალური ჯანმრთელობის ცენტრი; კლუბი სინერგია. დამატებითი რესურსი: ფონდის გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში ოფისი სატრენინგო დარბაზით და ფონდის საერთაშორისო საექსპერტო ქსელი; საქართველოს ფსიქიატრთა ასოციაციის და საქართველოს ფსიქოტრავმის საზოგადოების საექსპერტო ქსელი (WPA, EPA, ESTSS, ISTSS).

- უნივერსიტეტში არსებული სტუდენტის რეგისტრაციისა და სასწავლო პროცესის მართვის შიდა საუნივერსიტეტო ქსელი „არგუსი“; Moodle, Turnitin.

N	კურსები	სტატუსი (სავ., სავ../არჩ., არჩ.)	ლექტორი	წინაპირობა	კრედიტები	საკონტ.სათები	სემესტრები	
							შემ.	გაზ.
საერთო სავალდებულო კურსები ფსიქიკური ჯანმრთელობაში (30 კრედიტი)								
	კვლევის მეთოდები სოციალური მეცნიერებებში	სავ.	მარიამ დალაქიშვილი		6	32	x	
	აკადემიური წერა	სავ.	მაია როგავა		6	30		x
	ფსიქოპათოლოგია, საერთაშორისო კლასიფიკატორები და დიაგნოსტიკური კრიტერიუმები	სავ.	ნანა ზავრადაშვილი		6	60	x	
	ფსიქიკური ჯანმრთელობა - თანამედროვე მიდგომები. თემზე-დაფუძნებული ფსიქიკური ჯანმრთელობა	სავ.	ნინო მახაშვილი; ნანა ზავრადაშვილი		6	60	x	
	კლინიკური შემთხვევების მართვის პრაქტიკა	სავ.	ნინო მახაშვილი		6	30		x
სოციალური ფსიქიატრია (54 კრედიტი = 36 კრედიტი სავალდებულო, 18 კრედიტი სავალდებულო-არჩევითი)								
	სოციალური ფსიქიატრია	სავ.	ნანა ზავრადაშვილი	ფსიქოპათოლოგია, საერთაშორისო კლასიფიკატორები და დიაგნოსტიკური კრიტერიუმები	6	60		x
	ფსიქიკური ჯანმრთელობის სათემო სერვისები - მობილური, ასერტული, გუნდები და კრიზისული ინტერვენცია	სავ.	ნანა ზავრადაშვილი; ლელა წულეისკირი		6	62		x

	ფსიქიკური ჯანმრთელობის დარგის მულტიდისციპლინური გუნდი და შემთხვევის მართვა	სავ.	ნანა ზავრადაშვილი; ლალი წულეუსკირი	ფსიქოპათოლოგია, საერთაშორისო კლასიფიკატორები და დიაგნოსტიკური კრიტერიუმები	6	62		x
	აღდგენითი მართლმსაჯულება, მედიაცია და დანაშაულის პრევენცია მოზარდებში	სავ.	დარეჯან (ჯანა) ჯავახიშვილი		6	32		x
	ფსიქოსოციალური რეაბილიტაცია	სავ.	მარინე კურატაშვილი		6	78	x	
	ფსიქოფარმაკოლოგია	სავ.	ნანა ზავრადაშვილი		6	32	x	
	რეზიდენტული დაწესებულებები ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროში- საცხოვრისი, საოჯახო ტიპის სახლები, გერიატრიული სახლები	სავ.-არჩ.	ნანა ზავრადაშვილი; ლალი წულეუსკირი		6	32	x	
	პენიტენციური სისტემის ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვა: პატიმართა რეაბილიტმიუაცია, რესოციალიზაცია და რეინტეგრაციისაკენ მიმართული მოდელები	სავ.-არჩ.	ნანა ზავრადაშვილი; სოფო მორგოშია		6	47	x	
	მტკიცებულებაზე დაფუძნებული ფსიქიკური ჯანდაცვა: კვლევები ფსიქიკურ ჯანმრთელობაში	სავ.-არჩ.	ნინო მახაშვილი; დარეჯან (ჯანა) ჯავახიშვილი		6	45		x
	ფსიქოტრავმატოლოგია და ტრავმასთან დაკავშირებული მდგომარეობები	სავ..-არჩ	ნინო მახაშვილი; ქეთევან ფილაური; ლელა ცისკარიშვილი	ფსიქოპათოლოგია, საერთაშორისო კლასიფიკატორები და დიაგნოსტიკური კრიტერიუმები	6	45		x
	ნარკოპოლიტიკა და ადიქციის სამართლებრივი ასპექტები	სავ.-არჩ	გურამ იმნაძე		6	30	x	
	კოგნიტურ-ბიჰევიორისტული თერაპია	სავ.-არჩ.	ნატა მეფარიშვილი		6	30	x	
	ფსიქიკური ჯანმრთელობა, შეზღუდული შესაძლებლობები და ადამიანის უფლებები	სავ.-არჩ.	ოლღა კალინა		6	32	x	

	ინგლისური ენის პრაქტიკული კურსი 1 (C1.1)	სავ.-არჩ.	ნინო რუხაძე		6	75	x	
	SPSS	სავ.-არჩ.	ივანე კეჭაყმაძე		6	32		
	მოსაზღვრე მდგომარეობათა ფსიქოკონსულტირება ზრდასრულებში	არჩ.	რევაზ კორინთელი		6	32		x
	ჯანდაცვის პოლიტიკა	არჩ.	ირმა მჟავანაძე		6	32		x
	გზა ნივთიერებათა მოხმარებით გამოწვეული დარღვევებიდან აღდგენამდე (განსაკუთრებული აქცენტით გენდერულად მგრძნობიარე მიდგომებზე)	არჩ.	ირმა კირთაძე		6	32		x
	ორმაგი დიაგნოზების მართვა	არჩ.	ირმა კირთაძე		6	32	x	
	ჯგუფური ფსიქოთერაპია	არჩ.	რევაზ კორინთელი		6	32	x	
ფსიქოტრავმატოლოგია (54 კრედიტი = 36 კრედიტი სავალდებულო, 18 კრედიტი სავალდებულო-არჩევითი)								
	ფსიქოტრავმატოლოგია და ტრავმასთან დაკავშირებული მდგომარეობები	სავ.	ნინო მახაშვილი; ქეთევან ფილაური; ლელა ცისკარიშვილი	ფსიქოპათოლოგია, საერთაშორისო კლასიფიკატორები და დიაგნოსტიკური კრიტერიუმები	6	47		x
	ფსიქოტრავმის შედეგების მართვა	სავ.	ნინო მახაშვილი; ლელა ცისკარიშვილი; ქეთევან ფილაური	ფსიქოტრავმატოლოგია და ტრავმასთან დაკავშირებული მდგომარეობები	6	62	x	
	სოციალური ტრავმა: ფენომენოლოგია და გამკლავება	სავ.	დარეჯან (ჯანა) ჯავახიშვილი		6	32		x
	ფსიქოტრავმა ბავშვებსა და მოზარდებში	სავ.	დარეჯან (ჯანა) ჯავახიშვილი; ნინო მახაშვილი		6	30	x	
	კატასტროფის შედეგად განვითარებული მასობრივი ტრავმის მენეჯმენტი	სავ.	ლელა ცისკარიშვილი; ნინო მახაშვილი		6	62	x	

	ფსიქოლოგიური ტრავმის ნეირონული საფუძვლები	სავ.	ქეთევან ფილაური		6	30	x	
	ნარკოტიკების მოხმარების პრევენცია და ევროპის პრევენციის კურიკულუმი	სავ.-არჩ.	დარეჯან (ჯანა) ჯავახიშვილი		6	32	x	
	მოტივაციური ინტერვიურება	სავ.-არჩ.	ია შეყრილაძე		6	32	x	x
	სოციალური ფსიქიატრია	სავ.-არჩ.	მარინა კურატაშვილი		6	60		x
	მტკიცებულებაზე დაფუძნებული ფსიქიკური ჯანდაცვა: კვლევები ფსიქიკურ ჯანმრთელობაში	სავ.-არჩ.	ნინო მახაშვილი; დარეჯან (ჯანა) ჯავახიშვილი	•კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში; •ფსიქოპათოლოგია, საერთაშორისო კლასიფიკატორები და დიაგნოსტიკური კრიტერიუმები; •ფსიქიკური ჯანმრთელობა - თანამედროვე მიდგომები. თემზე-დაფუძნებული ფსიქიკური ჯანმრთელობა.	6	45		x
	აღდგენითი მართლმსაჯულება, მედიაცია და დანაშაულის პრევენცია მოზარდებში	სავ.-არჩ.	ნინო მახაშვილი; დარეჯან (ჯანა) ჯავახიშვილი		6	32		x
	ფსიქოანალიზური ფსიქოკონსულტირება	სავ.-არჩ.	რევაზ კორინთელი		6	32	x	
	პიროვნების ზრდაზე მიმართული ფსიქოკონსულტირება	სავ.-არჩ.	რევაზ კორინთელი		6	32	x	
	ფსიქიკური ჯანმრთელობა, შეზღუდული შესაძლებლობები და ადამიანის უფლებები	სავ.-არჩ.	ოლღა კალინა		6	32	x	
	ინგლისური ენის პრაქტიკული კურსი 1 (C1.1)	სავ.-არჩ.	ნინო რუხაძე		6	75	x	
	ფსიქოფარმაკოლოგია	სავ.	ნანა ზავრადაშვილი		6	32	x	
	SPSS	სავ.-არჩ.	ივანე კეჭაყმაძე		6	32		
	ჯანდაცვის პოლიტიკა	არჩ.	ირმა მჟავანაძე		6	32		x

	ჯგუფური ფსიქოთერაპია	არჩ.	რევაზ კორინთელი		6	32	x	
	სამაგისტრო ნაშრომი	სავ.		კვლევის მეთოდები სოციალური მეცნიერებებში; აკადემიური წერა	24			x

ფსიქიკური ჯანმრთელობის სამაგისტრო პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი			
	სახელი და გვარი	*სტატუსი*	*ელექტრონული ფოსტა*
1	ნინო მახაშვილი	ასოცირებული პროფესორი	nino.makhashvili.1@iliauni.edu.ge
2	დარეჯან ჯავახიშვილი	პროფესორი	darejan.javakhishvili.1@iliauni.edu.ge
3	რევაზ კორინთელი	პროფესორი	Korintelirezo@usa.net
4	ნატა მეფარიშვილი	ასოცირებული პროფესორი	nata.meparishvili@iliauni.edu.ge
5	ია შეყრილაძე	ასოცირებული პროფესორი	ia.shekriladze@iliauni.edu.ge
6	მარიამ დალაქიშვილი	ასისტენტ-პროფესორი	m.dalakishvili@iliauni.edu.ge
7	მაია როგავა	პროფესორი	maia.rogava@iliauni.edu.ge
8	ნანა ზავრადაშვილი	მოწვეული მასწავლებელი	mentaladvocacy@gmail.com
9	მარინე კურატაშვილი	მოწვეული მასწავლებელი	mkurat1@gmail.com
10	ლელა წულეისკირი	მოწვეული მასწავლებელი	ltsuleiskiri@hotmail.com
11	სოფო მორგოშია	მოწვეული მასწავლებელი	smorgoshia@outlook.com
12	ქეთევან ფილაური	მოწვეული მასწავლებელი	pilaurik@gmail.com
13	ლელა ცისკარიშვილი	მოწვეული მასწავლებელი	ltsiskarishvili@gcrt.ge
14	გურამ იმნაძე	მოწვეული მასწავლებელი	guro. imnadze@gma i l .com
15	ირმა მჟავანაძე	მოწვეული მასწავლებელი	irmamjavanadze@yahoo.com
16	ოლღა კალინა	მოწვეული მასწავლებელი	7olga1kalina7@gmail.com
17	ნინო რუხაძე	მოწვეული მასწავლებელი	nino.rukhadze7@gmail.com

18	ივანე კეჭაყმაძე	ასისტენტ-პროფესორი	ivane.ketchakmadze@iliauni.edu.ge